საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/98 „17" ივნისი 2021 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**მ. გურულის სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $35^4$ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-4 და $4^1$ პუნქტებისა და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2021 წლის 22 თებერვალს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე:

1. მალხაზ გურული არ იქნეს გამწესებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის, დმანისის მუნიციპალიტეტში ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, ახალგორის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლისა და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობებზე უვადოდ.

2. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით (მის.: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №12) გადაწყვეტილების მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე